

პოლიტიკა

საქმის ბარჯვა კანცელარიაში

გუშინ საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა საქმე კანცელარიის შენობაში "პირისპირ", უფრანლისტების გარეშე გაარჩიეს. წინასწარი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საპარლამენტო უმრავლესობა და პრემიერი სხდომის პირველ ნაწილს უფრანლისტებისთვის გახსნიდა, არ გამართლდა. შეხვედრამდე ზურაბ ჟვანია, მიხეილ მაჭავარიანმა, მაია ნადირაძემ და გიორგი არველაძემ, ასევე დახურულ კარს მიღმა, იტაბიერეს და მომავალი ურთიერთობის შესახებ გადაწყვეტილება, როგორც სავარაუდოა, ამ შეხვედრაზე მიიღეს.

A2

უცხოეთი

ბრიტანელი დეპუტატები დიდ ფულს ხარჯავენ



პარლამენტისა და მთავრობის წევრების შენახვა ბრიტანელ გადასახადის გადახედვებს საკმაოდ ძვირი უჯდებათ.

A5

საზოგადოება



ობაღსმენი ცრუ მონებების ინსტიტუტის წინააღმდეგ

"ცრუ მონებების ინსტიტუტს სამართალდამცველი სტრუქტურები აქტიურად იყენებენ," - აცხადებს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი.

A6

მეზობელი ქვეყნების მეგობარი პრეზიდენტების უშუალოა.



ბაი, ბალაილია, დოლო

ლენა მიქაძე

"გადაწყვიტე ჩემს მეგობარს საზღვარზე შეხვედროდი და კიდევ ერთხელ აღმოაჩინე, რა ახლოსაა ჩვენგან სომხეთი," - ეს სიტყვები საქართველოს მეთაურმა სომხეთის პრეზიდენტ რობერტ კოჩარიანთან შეხვედრის შემდეგ წარმოთქვა. ეს არის რობერტ კოჩარიანის

პირველი სტუმრობა სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ. სომხეთის პრეზიდენტის ვიზიტის ოფიციალური ნაწილი კოლეგასთან პირისპირ შეხვედრით დაიწყო, შემდეგ კი მთავრობის წევრებთან ერთად გაგრძელდა. ორივე პრეზიდენტი ვიზიტის პირველი დღით აშკარად კმაყოფილი ჩანდა.

"ფვიქრობ, კარგი შეხვედრა იყო. საკითხთა სრულ სპექ-

ტრზე გვაქვს ურთიერთგაგება. მნიშვნელოვან მომენტებში ყოველთვის ვშევიტოვებთ ერთმანეთს. მაშინ, როცა რამდენიმე დღის წინ ელექტროგადამცემ ხაზებზე დივერსია მოხდა, სომხეთი ოპერატიულად გამოგვეხმაურა და ელექტროენერგია, ძირითადად, სომხეთიდან მოდის. ახლა გვსურს, გავაადვილოთ სასაზღვრო და საბაჟო პუნქტებზე მუშაობის და გაშ-


ვების პროცედურები. უკეთესი ვითარებაა სომხეთში კონტრაბანდის გადინების მხრივ, რადგან საქართველო თავად დაინყო ამ ნაკადების კონტროლი... მოკლედ, ყველა საკითხი, რომელიც ყველა მოქმე ქვეყანას შორის არსებობს, ჩვენ შორის ძმურად წყდება." - ასეთია მიხეილ სააკაშვილის მიერ უფრანლისტებისთვის შეთავაზებული მოკლე რეზიუმე.

"ყველა ვიზიტი ძალზე მნიშვნელოვანია, იმ საკითხთა ფართო სპექტრის გათვალისწინებით, რომელზეც გვიმუშავია. ეს სპექტრი ყოველ წელს კიდევ უფრო იზრდება. შეხვედრისას ძირითადი აქცენტი ეკონომიკაზე, ენერგეტიკაზე, კანონმდებლობის უნიფიცირებაზე გაკეთდა," - დაამატა კოჩარიანმა.

ბაზრქოვალა A3 ბავრქოვა

აკადემიკოსი გიორგი წერეთელი

დაბადების 100 წლისთავის გამო



B1

"პრეზიდენტთან შეხვედრა 100 ათასი ლარად..."

ბოლო დროს ავთო წერეთლისა და საქართველოს თამბაქოს წარმოების გარშემო სკანდალი ისევ აგორდა. ამჯერად ირკვევა, რომ წერეთელმა უცხოელი ინვესტორები საერთოდ ამოყარა სადამფუძნებლო დოკუმენტაციიდან. ვინ არის ის სამი მინისტრი, ვინც წერეთელს უმაგრებს ზურგს? რატომ გახდა ყველაფერი სასამართლოებში წერეთელს და ვინ სთხოვს უცხოელ ბიზნესმენებს სააკაშვილთან შეხვედრისთვის 100 ათას დოლარს? "24 საათი" საქართველოს თამბაქოს წარმოების მექანიზმების შესახებ ახლა თანამედროვეს აუხსნის:

ოთარ ქირია

- თებერვალში პრეზიდენტ სააკაშვილს შევხვდით, მისი პირველი ვიზიტისას აშშ-ში. ჩვენი კომპანიიდან ორი წარმომადგენელი იყო. ძირითადად განიხილეს კორუ-

ფციასთან დაკავშირებული პრობლემები. საუბარი შეეხო ახალ პროექტებსაც. საქართველოში ჰოსპიტლის ამენებას ვაპირებთ, რაც დაახლოებით 70 მილიონი დოლარის ინვესტიციას გულისხმობს.

ბაზრქოვალა A3 ბავრქოვა

როდესაც ფიცის გზამს, ბოლო კი გაკვირვებს

სურს თუ არა ხელისუფლებას მმართველობის რეალური დეცენტრალიზაცია?

რა ნაბიჯები იდგება ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისთვის, თუ ხელისუფლება მხოლოდ იმის ილუზიას ქმნის, რომ ამ მხრივ სამთავრობო წრეებში "გარკვეული მოძრაობები" უკვე დაწყებულია და მალე ყინული დაიძრება? - სამუშაოდ, ამ კითხვებზე პასუხი არცთუ სასიხარულოა მათთვის, ვინც ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად (ბუნებრივია, სხვა პირობებთან ერთად), ადგილებზე რეალური თვითმმართველობის დამკვიდრებას მიიჩნევს. არადა, დღეს არსებული ვითარებით თუ ვიმსჯელებთ, მეტად გაურკვეველი სურათი იხატება - ახალი საგადასახადო კოდექსისა და 2005 წლის ბიუჯეტის პროექტები თვითმმართველობებს არათუ ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს, არამედ, უხეშად რომ ვთქვათ, კლავს.

ბაზრქოვალა A2 ბავრქოვა

**იარაღილი ომისი ,,გაპი"
და ბაზათი "24 საათი"**

ანორკილაგანე პროქტს,
რომლის მიჯანსაჟ
ნარქოვალანს
მოსახლეობისათვის
საგარტულარქივი
დახმარება.

აბილი	23/10	24/10
თბილისი	16 ☀	21 ☀
ქუთაისი	19 ☀	24 ☀
ბათუმი	19 ☀	24 ☀
სოხუმი	17 ☁	21 ☀
ფოთი	18 ☀	23 ☀
თელავი	15 ☀	20 ☀
ზუბდილი	18 ☀	24 ☀
გორი	13 ☀	18 ☀
ახმეტა	15 ☀	20 ☀
ქიათარა	16 ☁	21 ☀
ბაბრა	16 ☀	20 ☀
სამტრადლია	18 ☀	24 ☀

**უცხოური ვალუტის ოფიციალური
კარსი ლართან მიმართებაში**

აშშ დოლარი	1.8450
ევრო	2.3299
გირვანქა სტერლ	3.3730
რუბლი	0.0636

აკადემიკოს
თამაზ
გამყრელიძის
წერილი
იხილეთ
B1 ბავრქოვა

ბაიკვირებს თუ არა ახალი ქანონკოდექი კურს?

ხორბლის მწარმოებლები პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის იმ კანონპროექტს აპროტესტებენ...

თარი ბაიკვირები

კანონპროექტის თანახმად, რომელიც აგრარულ საკითხთა კომიტეტმა ამ საბჭოედი დღის წინარედადგინა...

აგრარულ საკითხთა კომიტეტში ფიქრებენ, რომ ხორბალზე სუბსიდიის საბაჟო გადასახადი ხელს შეუწყობს ფქვილის ადგილობრივი წარმოების განვითარებას...

აგრარულ კომიტეტში განმარტავენ, რომ ამ გზით ადგილობრივი ფერმერებს დიდი ხარისხით შეეძლება მიიღონ დახმარება...

სათა მორის, ამ კანონპროექტს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტიც ინუნიებს. კომიტეტის მთავარი შენიშვნა დაწესებული ექსპორტიდან გადასახადის გადართობაზე...

ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის "გლობალ-აგროს" წევრებისთვის წებისმიერი ვადა მიიღებოდა. ისინი ამბობენ, რომ საბაჟო გადასახადი სამი თვე იქნება...

ჩაინ ტანდარით ბათვალისწინებალ საეზაოებს შერვაშიქი შეამოწმებს

დღეს და ზვალ სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით შერვაშიძე დასავლეთ საქართველოს რაიონებში...

მარიამ ჰაქვაძე

წელს ჩაინ რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3,5 მილიონ ლარი გამოყოფილი. ტენდერი ამ ცოტა ხნის წინათ ჩატარდა...

ქველახე დიდი დაინტერესება ჩაინ პლანტაციის რეაბილიტაციისთვის საჭირო მომსახურების საჭირო მომსახურების შესყიდვაზე...

ჩაინ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად მთლიან ტენდერი 300 ჰექტარზე ჩატარდა და ამითვე სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 150 ათასი ლარი გამოყო.

სახელმწიფო შესყიდვების საეზაოებს ახალი საემაქვალერო საეპო ჰყავს

გუშინ სახელმწიფო შესყიდვების საეგენტოს ახალი საემაქვალერო საეპოს პირველი სხდომა გაიმართა. საეგენტო სახელმწიფო სტრუქტურების მიერ საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მონიტორინგს ახორციელებს...

მსოფლიო ბანკი საქართველოში ბრანტების ახალ პროგრამას იწყებს

ინოვაციური პროგრამა

"იდეების კიდობანი" - ასეთი სახელწოდება აქვს საერთაშორისო საკონკურსო პროგრამას, რომლის არსი ნოვატორული პროექტების გამოვლენა და მათი განხორციელების ხელშეწყობა...



მსოფლიო ბანკი იწყებს იდეებს.

დაც შეეხება საქართველოს "იდეების კიდობანის" ფარგლებში შემოთავაზებულ თემებს. "ჩვენი გარემო ჩვენი სახლების ზღურბლს მიღმა", იგი გულისხმობს თემების, სოფლებისა და ქალაქების მომსახურების სფეროს განვითარებასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ნოვატორული იდეების განხორციელებას...

"გაზპრომი" ბუნებრივი აირის 18 დოლარით აძირებს

"გაზპრომი" ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის ბუნებრივი აირის მოწოდების ტარიფს 18 დოლარით (30 პროცენტით) აძვირებს, რასაც რუსული გაზმომწოდებელი კომპანიის წარმომადგენლები ასე ხსნიან: კომპანიისთვის უფრო მომგებიანი რუსული ბუნებრივი აირის ევროპაში გაყიდვა...

სოფიკო ოხანაძე

ამჟამად, მოსკოვში იმყოფება "თბილგაზის" გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძე, რომელიც ცდილობს, მომწოდებელ კომპანიასთან კომპრომიზულ გადაწყვეტილებას მიაღწიოს.

ერაყის ეკონომიკა 52 პროცენტით გაიზარდა

ჯერჯერობით, შეთანხმების მიღწევა არ ხერხდება. აშშ ერყაისათვის ვალუტის 90 პროცენტით პატივის მისმზრვა, მაგრამ სხვა სახელმწიფოები, მათ შორის საფრანგეთი და გერმანია აცხადებენ, რომ ნავთობით ერყაისნაირი მდიდარი ქვეყნისთვის ეს ზედმეტი შეღავათია. საერთაშორისო ორგანიზაციები იმ ფაქტზე მიუთითებენ, რომ აშშ ასეთი მიმტეველები არასოდეს არავის მიმართ არ ყოფილა. თუმცა, რატომ არის მიმტეველები ერყაის მიმართ, ალბათ ყველასთვის გასაგებია.

ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერჯის მიწოდება დროებით შეწყდება:

DAAD ბერმანული აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD) და ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო" (OSI) სტიპენდიები საქართველოში 2005/2006 სასწავლო წლისთვის

ბასოვდან შენი „ნიჰიანი ქალაქი“



B2

„დედ ბოსქანსთან შედარება ქალიან მასარაზს“



B4

ახალი ტექნოლოგიები



B7

იხილეთ

აკადემიკოსი ბიორგი წერეთელი

დაბადების 100 წლისთავის გამო

თამაზ ბაყრაიძე

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ერთ-ერთ ფუძემდებლს, ფართოდ ცნობილ არაბისტიკსა და სემიოლოგს აკადემიკოს ბიორგი წერეთელს 2004 წლის 21 ოქტომბერს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. მეცნიერი-ფილოლოგისათვის არცთუ ისე ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე (იგი გარდაიცვალა ხანმოკლე, მაგრამ მძიმეავადმყოფობის შემდეგ 1973 წლის 9 სექტემბერს) ბიორგი წერეთელმა უდიდესი სამეცნიერო შედეგები მოიპოვა და სახელი გაიტქვა საერთაშორისო მეცნიერებაში, როგორც უმაღლესი რანგის მკვლევარმა-აღმოსავლეთმცოდნემ, რომელმაც მნიშვნელოვანი ნაშრომები შესძინა ფილოლოგიურ მეცნიერებასა და აღმოსავლეთმცოდნეობას და მით დაიმკვიდრა დიდი მეცნიერის სახელი მსოფლიო მეცნიერებაში.

განუზომად ფართო იყო აკადემიკოს ბიორგი წერეთლის სამეცნიერო ინტერესების სფერო. იგი მოიცავს არაბულ ენათმეცნიერებასა და ფოლკლორს, ებრაისტიკასა და არამედიკისას, ახლო აღმოსავლეთის ძველ ენებსა და დამწერლობათა ისტორიას, ქართველურ ენათმეცნიერებას, ქართული და შედარებითი ლექსთაწარმოების საკითხებს, თეორიული ლინგვისტიკის პრობლემებს. თითოეულ ამ დარგში მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და მისმა შრომებმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი ჰუმანიტარული მეცნიერების საგანძურში.

მრავალმხრივმა და ღრმა ერუდიციამ, მაღალი კლასის მეცნიერულმა ნაშრომებმა, ამავდროს, არაჩვეულებრივმა ორგანიზატორულმა უნარმა დამსახურებული ავტორიტეტი მოუპოვა მსოფლიო მეცნიერებაში ბიორგი წერეთელს და მის მიერ შექმნილ სამეცნიერო სკოლას, ხოლო ბიორგი წერეთლის ინიციატივით დაარსებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს, მისი ხელმძღვანელობით მსოფლიო ორიენტალისტი-

კის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად იქცა.

თავის ერთ-ერთ გამოსვლაში მაშინდელი საკავშირო აკადემიის პრეზიდენტი მსტისლავ კელიძე აღნიშნავდა:

... საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია ძალიან დიდ სამეცნიერო დაწესებულებად გაიზარდა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ აქ ჩამოყალიბდა მსოფლიოში განთქმული, საერთაშორისო მნიშვნელობის მთელი რიგი სამეცნიერო სკოლები.


ეს გახლავთ მათემატიკური სკოლა, რომელიც თავის საწყისს აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილისაგან იღებს, სკოლა ფიზიოლოგიის დარგში, რომელსაც საფუძველი ივანე ბერიტაშვილმა ჩაუყარა, სააღმოსავლეთმცოდნეო სკოლა, რომელსაც აკადემიის წევრი ბიორგი წერეთელი უდგას სათავეში.

გ. წერეთლის საერთაშორისო აღიარების დასტური იყო ის, რომ იგი არჩეულ იქნა დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო საახლო საზოგადოების საპატიო წევრად და აგრეთვე საპატიო წევრად პოლონეთის ორიენტალისტიკის საზოგადოებისა.

1968 წ. ბიორგი წერეთელს, უკვე მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერს, მეცნიერების წინაშე დიდი დამსახურებისათვის ორჩევნი მაშინდელი საკავშირო აკადემიის ნამდვილ წევრად. ბიორგი წერეთლის არჩევა საკავშირო აკადემიის აკადემიკოსად ფართო სამეცნიერო საზოგადოებრივობამ მიიჩნია მისი მრავალმხრივი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობის სამართლიან აღიარებად.

ბიორგი წერეთლის, როგორც მეცნიერის სიდიადე განისაზღვრება არა გამოქვეყნებულ შრომათა რაოდენობით, არამედ მის მიერ შექმნილ გამოკვლევათა ხასიათით, რომელთაგან თითოეული თავისებურ აღმოჩენას წარმოადგენს და ნარეულ კვალს ტოვებს ეროვნული და მსოფლიო მეცნიერების სათანადო დარგებში.

ბიორგი წერეთელი თავის თავში აერთიანებდა ფაქტობრივად რამდენიმე სამეცნიერო დარგის სპეციალისტსა და ღრმა მცოდნეს, რაც მას საშუა-



ლებას აძლევდა ახლებურად, თავისებური თვალთახედვით შეეხება თითოეული ამ დარგისათვის; იგი იყო საყვეყნოდ აღიარებული სემიტოლოგი, უბადლო ირანისტი და ქართველოლოგი; იგი იყო ბრწყინვალე ფი-

ლოლოგი და ენათმეცნიერი, რომელიც ყოველთვის იდგა მსოფლიო ფილოლოგიისა და ლინგვისტიკის უახლეს მიღწევათა დონეზე და ხშირად თავისი გამოკვლევებით თვით განსაზღვრავდა ამ დონეს...

ბიორგი წერეთელი განეკუთვნება იმ ქართველ მეცნიერთა რიგს, რომლებმაც მისი და მისი მოღვაწეობით დაუმკვიდრა ქართული მეცნიერების ტახტს, ეროვნული უნივერსიტეტის მიწაზე, სხვა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა და მოღვაწეთა გვერდით.

აკადემიკოს თამაზ ბაყრაიძეს

ბატონო თამაზ, მინდა გულითადად მოგილოცოთ დაბადების 75 წლის იუბილე. ვიცი, რომ არ აღნიშნავთ ამ თარიღს, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, თქვენ - გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს - მოგმართოთ ამ მისასალმებელი სიტყვებით.

თქვენ მრავალი საერთაშორისო აკადემიის საპატიო წევრი, დასავლეთის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი და საერთაშორისო ლინგვისტიკის საზოგადოებების საპატიო წევრი ბრძანდებით. იყავით "ევროპის ლინგვისტიკური საზოგადოების" პრეზიდენტი. ფართოდ გაუთქვით სახელი ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებასა და ქართულ ორიენტალისტიკას, მთელ ქართულ კულტურას. თქვენი ფუნდამენტური შრო-

მები ახალ პარადიგმებს ქმნიან ამ დარგებში და კლასიკურ ნაშრომებად მიჩნეული საერთაშორისო მეცნიერებაში.

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო თქვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ყველა მოწვევის პარლამენტის წევრისა და საქართველოს წარმომადგენლისა საკავშირო უმაღლეს საბჭოში.

ყველას გვახსოვს თქვენი მგზნებარე და გაბედული გამოცვლა ე.წ. "სახალხო დემოკრატია I ყრილობაზე" მოსკოვში, სადაც თქვენ ამხილეთ თბილისში 9 აპრილის ტრაგედიის მომწყობნი და ამ აქციის ორგანიზატორები უმაღლეს საბჭოში პოლიტიკურ და სამხედრო ხელისუფლებას დასაღმართად. შეიძლება ითქვას, რომ "სახალხო დემოკრატია I ყრილობა" 9



აპრილის ტრაგედიის ნიშნით წარმართა, რაც მთელმა მსოფლიომ დაინახა და რამაც საბჭოთა კავშირის დაშლა და რღვევა მნიშვნელოვნად დააჩქარა.

თქვენ ისევ მხნედ და ენერგიულად აგრძელებთ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. ჩვენი სამშობლოსა და ხალხის სიყვარულით, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში დაუღალავი მოღვაწეობით შესანიშნავ მაგალითს აძლევთ ჩვენს ახალგაზრდობას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ ღრმად შესანიშნავ თარიღს და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ნაყოფიერ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით
მიხეილ სააკაშვილი



თეატრები

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი "ზამთრის ღამის სიზმარი" რეჟისორი: დავით ანდელუაძე...

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე "90-იანი... ადამიანის ხმა" ავტორი და რეჟისორი: ნ. დანელიძე...

თეატრალური სარდაფი ვაკეში რალფ კინგი ET CETERA რეჟისორი: ლევან წულაძე...

თავისუფალი თეატრი ჯოზეფ ოზბორნი "კომედიანტები" რეჟისორი: ავთო ვარსიანიძე...

გრებოვლის თეატრი ემილ ზოლა "ტერეზა რაკენი" რეჟისორი: ავთო ვარსიანიძე...

კონცერტები

სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი ქართული ნაციონალური ბალეტის "სუშივილები" ვარსკკვლავის გახსნა...

კინოთეატრები

რუსთაველი "ეროტიკი" ფასი: 5-10 ლარი დას: 12:00, 22:00 სთ.

ამირანი "თანამონაწილე" ფასი: 6-9 ლარი დას: 14:00, 16:30 სთ.

ცირკი

რუსეთის საცირკო პროგრამა ნაჩვენები იქნება ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი...

დაცემილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგაწეროთ ინფორმაცია...

გახსოვდეს ხენი „აივნისი ქალაქი“

ნიკოლოზ გაბაონის რომანის ახალი სიცოცხლე



ელენე ახვლედიანის "ველი თბილისი".

აივნისიანი ძველი თბილისის ისტორია, სულ ცოტა ხნის წინათ, უიმედოდ განწირული გვეგონა. მის მომავალში არც ახლა ვარ დარწმუნებული...

იცივობა და ახოვანი, საკმაოდ მკაცრი და უზომოდ წესრიგის მოყვარული ისტორიკოსი შიშის ზარს სცემდა...

მადი სარაბრიაძე

მეცხრამეტე საუკუნის აივნისი ქალაქი – თბილისის ისტორიის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული და მწარ-ტკბილი ეპიზოდია...

ვინაიდან "აივნისი ქალაქის" ბეჭდვა დიდი ხნის წინ დაიწყო, ვალერიან გაბაონის შექმნილი ისტორიის შესახებ...

ადმოსავლური და დასავლური საქართველოდან

თაონა ჭაფარიძე

დიხანიერ ჯაბა დიასამიძის კლასიკური შავი ფერის საღამოს კაბები უნიკალურმა სამკაულმა...

შავ კაბებზე კი უძველესი ოქროს სამკაული ბრწყინავდა, რომელიც თავისი უცნაური პლასტიკით...



ასლები სახელმწიფო მუზეუმის საგანძურში.

ტოკიოსა და ფრანკფურტში. – მისხნის ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი ქალბატონი მაკა დვალისვილი...

ნიხატორებმა დამთავლიერებულს არქეოლოგიური გათხრების, ფოტო და ვიდეომასალებიც შესთავაზეს...

საზღვრებიანი კავკასია

თაონა ჭაფარიძე

კავკასია თავისუფალია იმიტომ, რომ ხელოვნება, რომელიც მის მულტინაციონალურ წიაღში იქმნებოდა...

ად თავის მეორე სამშობლოში ვიზით იმყოფება და ცდილობს საქართველოს მოქალაქეობა აღიდგინოს...



დალესტრელი ქართული კომუნისათვის.

მოდის დალესტნის ოქრომჭედლე-ბიოგრაფია: რეპრესიების გამოქცეული მისი ოჯახი თბილისში გასული საუკუნის 30-იან წლებში ჩა-

ბილი პროფესორი, მისი და კი ცნობილი ფოლკლორისტი ხდება. თავად მანაბა ანგრეცის სტერეოტიპის და "მამაკაცურ ხელობას"...

